SN 10195/14

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, კეტრინ ეშტონის განცხადება ევროკავშირის სახელით 2014 წლის 17 მაისის ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით.

ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მსურს კვლავ დავადასტურო ევროკავშირის ერთგულება თანასწორობისა და არადისკრიმინაციისადმი.

ევროკავშირი ერთგულია ადამიანის უფლებების უნივერსალურობის პრინციპისა და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არ შეიძლება კულტურული, ტრადიციული და რელიგიური ღირებულებების გამოყენება ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის, მათ შორის LGBTI პირების წინააღმდეგ დისკრიმინაციის გასამართლებლად. ჰომოფობია, ბიფობია და ტრანსფობია ადამიანის უფლებების მიუღებელი დარღვევებია.

მიუხედავად ანტიდისკრიმინაციული ზომების გაძლიერების დადებითი მაგალითებისა, სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა კვლავ გამოიყენება ადამიანების უფლებების სერიოზული დარღვევების საბაბად მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ზოგიერთ ქვეყანაში ნებაყოფლობითი სექსუალური ურთიერთობები ერთი და იმავე სქესის სრულწლოვან ადამიანებს შორის სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება და შეიძლება პატიმრობისა და სიკვდილით დასჯის საფუძველიც კი გახდეს. სხვა ქვეყნების მთავრობები აქტიურად ცდილობენ LGBTI პირების შეკრების, გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას. ეს ევროკავშირის შეშფოთების წყაროა.

ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა 2013 წლის 24 ივნისს მიიღეს " LGBTI სახელმძღვანელო მითითებები" და ჩვენ დაუღალავად ვიბრძვით ადამიანის უფლებების პატივისცემისათვის, განურჩევლად სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა. ჩვენ მუდამ ვაყენებთ ლგბტ პირებისათვის თანაბარი უფლებების საკითხს მესამე ქვეყნებთან ჩვენს ურთიერთობებში და საერთაშორისო ფორუმებზე, ჩვენ ვაკეთებთ საჯარო განცხადებებს და ჩვენი წარმომადგენლობების მეშვეობით ვმუშაობთ სამართლიანობისა და ადამიანის უფლებების დასაცავად. დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის ევროპული ინსტრუმენტის მეშვეობით, ევროკავშირი მხარს უჭერს LGBTI ადამიანის უფლებათა დამცველებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.